**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/260121/1**

**ქ. თბილისი** **26 იანვარი, 2021 წელი**

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **სს „ფრანს ავტო“** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის, გიორგი ფალიანი სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #34; ტელეფონის ნომერი: 0322 53 17 00; ს/კ 236098165.; სს „საქართველოს ბანკი“, კოდი BAGAGE22, ა/ა GE25BG0000000254559400

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

**1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი**

**1.1 ხელშეკრულების საგანია** სატრანსპორტო საშუალებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა (CPV50110000 - ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

**1.2 ხელშეკრულების ობიექტია** საგარანტიო პირობების მიხედვით, პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური შემთხვევებისათვის შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების (იხ. დანართი N1) შეკეთება და ტექნიკური მომსახურება დანართი N2-ით გათვალისწინებული მომსახურების, სათადარიგო ნაწილებისა და ერთეულის ფასების შესაბამისად.

1.3 ხელშეკრულების დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4 მანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (სერვისი-სათადარიგო ნაწილები) გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების დროულ და სრულყოფილ შეკეთებას; საგარანტიო მომსახურების სრულყოფილად შესრულებას, პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას; ავტომობილის ნაწილების შეკეთებას და/ან გამოკვლევას.

1.5 ავტომანქანის დაზიანებული ნაწილები უნდა შეიცვალოს ახალი სათადარიგო ნაწილებით და უნდა შეესაბამებოდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ პრეისკურანტში (დანართი N2) მითითებულ შესაბამისი საქონლისა და მომსახურების დასახელებას და ფასს.

1.6 შეცვლილ სათდარიგო ნაწილზე ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში ვრცელდება საგარანტიო ვადა არანაკლებ 4 თვის ვადით. იმ პირობით, რომ საგარანტიო პერიოდში ნებისმიერი დეტალი და ნებისმიერი შემდგომი მომსახურება შეძენილი იქნება მხოლოდ სს „ფრანს ავტო“-ში. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით. გარანტია არ ვრცელდება სწრაფცვეთადი დეტალებზე, აგრეთვე იმ დეტალებზე, რომელთაც აღენიშნებათ გარეგანი მექანიკური ზემოქმედების კვალი.

1.7 პრეისკურანტში ავტოსტრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტოსტრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. დანართი N2 პრეისკურანტის მთლიანი ღირებულება შეადგენს **53 126.20 (ორმოცდაცამეტი ათას ას ოცდაექვსი ლარი და 20 თეთრი) ლარს.**

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **15 000.00 (თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

2.3 ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექმომსახურების (სერვისი, სათადარიგო ნაწილები) ერთეულის ფასი გაიანგარიშება დანართი N2-ის საფუძველზე.

2.4. 2.3 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების და აქტის საფუძველზე.

**3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მოსმახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის"-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

**4. მომსახურების გაწევის პირობები**

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

4.2 მომსახურება გაწეული იქნება დაუყოვნებლივ, რიგგარეშე, იმ პირობით, რომ წინასწარ იქნება მიმწოდებლის სერვის მენეჯერთან შეთანხმებული ავტომობილის წარმოდგენის დრო. ამასთან დანართიN2-ით გათვალისწინებული დეტალების და მომსახურების მიწოდების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღეს, რიგ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია ვადის გაზრდის ობიექტური აუცილებლობა, მიმწოდებელი დაუყონებლივ აცნობებს დამატებითი გონივრული ვადის შესახებ;

4.3 ხელშეკრულების დანართN1-ში მოცემული ავტომანქანების მომსახურება ხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: ქ.თბილისი, - ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #34.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, ავტომანქანაზე სრულყოფილად შევსებული დეფექტური აქტისა და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად .

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ან ავტომანქანაზე არ განხორციელდება მიმწოდებლის მხირდან დეფექტური აქტისა და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი შევსება სრულყოფილად, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება (ან საქონელი) და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების და/ან საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, რისთვისაც განსაზღვრული იქნება გონივრული ვადა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევისას სრულყოფილად შევსებული დეფექტური აქტი და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის შესაბამისადაც ყოველთვიურად განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და მას თან დაერთვება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, ლარებში, თვეში ერთჯერ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს ავტომობილის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს წერილობითი ანგარიში ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ შესაცვლელი სათადარიგო ნაწილების ჩვენებით;

- ავტოტრანსპორტის გაუმართაობის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი შეკეთება დაზიანების ხარისხის შესაბამისად;

- მიაწოდოს შემსყიდველს მასთან შეთანხმებული ხარისხის ავტოსათადარიგო ნაწილები, რომლის ფასი არ უნდა აღემატებოდეს დანართი N2-ში მითითებულ ფასს;

- შემსყიდველის ავტომანქანის მომსახურებას მიანიჭოს პრიორიტეტი;

- გაავრცელოს გარანტია მის მიერ გაწეულ მომსახურებაზე და/ან ამ მომსახურების დროს გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში (საგარანტიო მომსახურების პირობები არ ვრცელდება სწრაფცვეთად დეტალებზე, ექსპლუატაციის წესების დარღვევით, გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე; თუ საგარანტიო ვადაში რაიმე დეტალი/მომსახურება შეძენილია მიმწოდებლის გვერდის ავლით).

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. მხარეთა უფლება**

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხოდ გაწეული მომსახურების მიღებაზე.

**9. ფორს-მაჟორი**

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**„შემსყიდველი“**
**სსიპ „შემოსავლების სამსახური”**

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2021.01.26 19:46:11 +04'00'

**მიხეილ ახვლედიანი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

**„მიმწოდებელი“**
**სს „ფრანს ავტო“**

______________________________

**გიორგი ფალიანი**
დირექტორი

დანართი N1

**ავტომანქანების ჩამონათვალი**

| № | მარკა/მოდელი | გამოშვ. წელი | სახ. ნომერი | VIN კოდი |
|---|---|---|---|---|
| 1 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 910 GE | VF1HJD40964092548 |
| 2 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 802 GE | VF1HJD40064092549 |
| 3 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 050 GE | VF1HJD40764092550 |
| 4 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 203 GE | VF1HJD40964092551 |
| 5 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 702 GE | VF1HJD40064092552 |
| 6 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 915 GE | VF1HJD40264092553 |
| 7 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 307 GE | VF1HJD40464092554 |
| 8 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 401 GE | VF1HJD40664092555 |
| 9 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 356 GE | VF1HJD40X64092557 |
| 10 | RENAULT DUSTER | 2019 | RS 204 GE | VF1HJD40364092559 |
| 11 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-308-GE | VF1HJD40X64092560 |
| 12 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-309-GE | VF1HJD40564034646 |
| 13 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-105-GE | VF1HJD40764034647 |
| 14 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-404-GE | VF1HJD40164034661 |
| 15 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-032-GE | VF1HJD40364034662 |
| 16 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-504-GE | VF1HJD40264034670 |
| 17 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-503-GE | VF1HJD40464034671 |
| 18 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-502-GE | VF1HJD40664034672 |
| 19 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-602-GE | VF1HJD40864034673 |
| 20 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-202-GE | VF1HJD40X64034674 |
| 21 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-930-GE | VF1HJD40164034675 |
| 22 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-403-GE | VF1HJD40364034676 |
| 23 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-932-GE | VF1HJD40764034664 |
| 24 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-933-GE | VF1HJD40064034666 |
| 25 | RENAULT DUSTER | 2019 | RS-031-GE | VF1HJD40964034679 |

**„შემსყიდველი“**
**სსიპ „შემოსავლების სამსახური“**

_____________________________

**მიხეილ ახვლედიანი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

**„მიმწოდებელი“**
**სს „ფრანს ავტო“**

__________________________________

**გიორგი ფალიანი**
დირექტორი

RENAULT
Passion for life

Digitally signed by George Paliani
Date: 2021.01.26 15:56:27 +04'00'

დანართიN2

| # | *სათადარიგო ნაწილების დასახელება* | *რაოდენობა* | *ერთეულის ფასი* | *მომსახურების ფასი* |
|---|---|---|---|---|
| 1 | სავალი ნაწილის შემოწმება | | 0.00 | 10.00 |
| 2 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | | 0.00 | 40.00 |
| 3 | წინა საყრდენი დისკი | 1 კომპ. | 480.00 | 80.00 |
| 4 | წინა საყრდენი დისკის მოხეხვა | 1 კომპ. | 0.00 | 80.00 |
| 5 | უკანა საყრდენი დისკი | 1 ცალი. | 870.00 | 60.00 |
| 6 | უკანა საყრდენი დისკის მოხეხვა | 1 ცალი. | 0.00 | 60.00 |
| 7 | ბურთულა სახსარი (შარავოი) | 1 ცალი. | 95.00 | 50.00 |
| 8 | დაკიდების ბერკეტის მილისა (წინა გიტარის ვტულკა) | 1 ცალი. | 55.00 | 35.00 |
| 9 | თვლების ნახარის რეგულირება | | 0.00 | 50.00 |
| 10 | გაბარიტის ნათურა (დიდი) | 1 ცალი | 10.00 | 5.00 |
| 11 | გაბარიტის ნათურა (პატარა) | 1 ცალი | 3.00 | 5.00 |
| 12 | ახლოს მაშუქი ნათურა | 1 ცალი | 15.00 | 5.00 |
| 13 | შორს მაშუქი ნათურა | 1 ცალი | 15.00 | 5.00 |
| 14 | სანისლე ფარის ნათურა ჰ 16 | 1 ცალი | 95.00 | 20.00 |
| 15 | სანისლე ფარის ნათურა ჰ 11 | 1 ცალი | 55.00 | 20.00 |
| 16 | უკანა სტოპის ნათურა | 1 ცალი | 10.00 | 10.00 |
| 17 | მოხვევის მაჩვენებლის ნათურა | 1 ცალი | 10.00 | 10.00 |
| 18 | სალონის სტოპის ნათურა | 1 ცალი | 10.00 | 5.00 |
| 19 | სამუხრუჭე სითხე | 0.5 ლიტრ | 25.00 | 160.00 |
| 20 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 25.00 | 40.00 |
| 21 | ანტიფრიზის შემოწმება | | 0.00 | 5.00 |
| 22 | მაცივარ აგენტი (ფრეონი) | 100 გრ. | 25.00 | 50.00 |
| 23 | შეჭიდების ქურო დისკი | 1 კომპ. | 780.00 | 450.00 |
| 24 | მოჭიდების საკისარი | 1 ცალი | 670.00 | 450.00 |
| 25 | საბურავის დისკის გასწორება მარტივი | 1 ცალი | 0.00 | 15.00 |
| 26 | საბურავის დისკის გასწორება საშუალო | 1 ცალი | 0.00 | 25.00 |
| 27 | საბურავის დისკის გასწორება რთული | 1 ცალი | 0.00 | 45.00 |
| 28 | საბურავის მოხსნა-დაყენება | 1 ცალი | 0.00 | 3.00 |
| 29 | საბურავის დაშლა-აწყობა | 1 ცალი | 0.00 | 6.00 |
| 30 | საბურავის ბალანსირება | 1 ცალი | 0.00 | 6.00 |
| 31 | საბურავის შეკეთება მარტივი | 1 ცალი | 0.00 | 10.00 |
| 32 | საბურავის შეკეთება საშუალო | 1 ცალი | 0.00 | 20.00 |
| 33 | საბურავის შეკეთება რთული | 1 ცალი | 0.00 | 50.00 |
| 34 | წინა საქარე მინის ვაიპერი | 1 კომპ. | 185.00 | 10.00 |
| 35 | უკანა საქარე მინის ვაიპერი | 1 ცალი | 95.00 | 5.00 |
| 36 | საქარე მინის ყინვა საწინააღმდეგო სითხე | 1 ლიტრი | 20.00 | 2.00 |
| 37 | საყვირის და შუქების ჩამრთველი სახელური | 1 კომპ. | 420.00 | 60.00 |
| 38 | საყვირი | 1 ცალი | 135.00 | 40.00 |
| 39 | ელ; სისტემის დიაგნოსტიკა | | 0.00 | 30.00 |
| 40 | ელ; შუშების ამწევი და ჩამომწევი ღილაკი | 1 ცალი | 295.00 | 40.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 41 | ელ; სისტემის შეკეთება მარტივი | | 0.00 | 60.00 |
| 42 | ელ; სისტემის შეკეთება საშუალო | | 0.00 | 120.00 |
| 43 | ელ; სისტემის შეკეთება რთული | | 0.00 | 200.00 |
| 44 | ელ; სისტემის პროგრამირება | | 0.00 | 350.00 |
| 45 | ჭვარტლის მარეგულირებლის (დროსელის) ინსტალაცია | | 0.00 | 150.00 |
| 46 | გამონაბოლქვში ჭვარტლის მარეგულირებელი (დროსელი) | 1 ცალი | 1,980.00 | 250.00 |
| 47 | ჭვარტლის ფილტრის სარეცხი სითხე | 1 ცალი | 95.00 | 150.00 |
| 48 | ამძრავი (სტარტერი) | 1 კომპ. | 1,670.00 | 120.00 |
| 49 | ამძრავის მოხსნა-დაყენება | | 0.00 | 120.00 |
| 50 | ამძრავის დაშლა-აწყობა | | 0.00 | 70.00 |
| 51 | ელ; გენერატორი | 1 კომპ. | 2,350.00 | 180.00 |
| 52 | ელ;გენერატორის (რელე + ჩოთქები) | 1ცალი | 870.00 | 80.00 |
| 53 | ელ; გენერატორის დაშლა-აწყობა | | 0.00 | 80.00 |
| 54 | წინა ბამპერის მოხსნა-დაყენება | | 0.00 | 140.00 |
| 55 | შესადუღებელი სამუშაო მართივი | | 0.00 | 30.00 |
| 56 | შესადუღებელი სამუშაო საშუალო | | 0.00 | 120.00 |
| 57 | შესადუღებელი სამუშაო რთული | | 0.00 | 200.00 |
| 58 | უკანა დაკიდება  (უკანა შტანგა) | 1 ცალი | 360.00 | 60.00 |
| 59 | უკანა დაკიდების მილისა  (უკანა შტანგის ვტულკა) | 1 ცალი | 95.00 | 40.00 |
| 60 | წინა დაკიდება (წინა გიტარა) | 1 ცალი | 465.00 | 80.00 |
| 61 | წინა დაკიდების მილისა (წინა გიტარის ვტულკა) | 1 ცალი | 55.00 | 40.00 |
| 62 | მაყუჩის გოფრე | 1 ცალი | 160.00 | 80.00 |
| 63 | მაყუჩის მოხსნა-დაყენება | | 0.00 | 140.00 |
| 64 | მაყუჩის სამაგრი რეზინის ბალიში | 1 ცალი | 135.00 | 25.00 |
| 65 | წინა მორგვის საკისარი (წინა სტუპიცის საკისარი) | 1 ცალი | 230.00 | 80.00 |
| 66 | უკანა მორგვის საკისარი (უკანა სტუპიცის საკისარი) | 1 ცალი | 215.00 | 70.00 |
| 67 | წინა ამორტიზატორი | 1 ცალი | 360.00 | 70.00 |
| 68 | უკანა ამორტიზატორის | 1 ცალი | 330.00 | 70.00 |
| 69 | წინა ამორტიზატორის ბალიში | 1 ცალი | 95.00 | 70.00 |
| 70 | წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი | 1 ცალი | 95.00 | 70.00 |
| 71 | წინა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი) | 1 ცალი | 95.00 | 70.00 |
| 72 | უკანა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი) | 1 ცალი | 95.00 | 70.00 |
| 73 | ამორტიზატორის ზამბარა | 1 ცალი | 230.00 | 70.00 |
| 74 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | 1 ცალი | 95.00 | 35.00 |
| 75 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა | 1 ცალი | 85.00 | 25.00 |
| 76 | წინა სტერჟინი | 1 ცალი | 140.00 | 35.00 |
| 77 | უკანა სტერჟინი | 1 ცალი | 135.00 | 30.00 |
| 78 | წევა (უდარნი ტიაგა) | 1 ცალი | 140.00 | 50.00 |
| 79 | წევა მტვერდამცავი(უდარნი ტიაგის პილნიკი) | 1 ცალი | 90.00 | 50.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 80 | წევის დაბოლოვება (ნაკანეჩნიკი) | 1 ცალი | 135.00 | 30.00 |
| 81 | გადაცემათა კოლოფის დაშლა-აწყობა | | 0.00 | 350.00 |
| 82 | ძრავის ბალიში (დიდი) | 1 ცალი | 395.00 | 120.00 |
| 83 | გადაცემათა კოლოფის ბალიში ქვედა | 1 ცალი | 175.00 | 30.00 |
| 84 | გადაცემათა კოლოფის ბალიში ზედა | 1 ცალი | 190.00 | 80.00 |
| 85 | ჰიდრავლიკის ნასოსი | 1 ცალი | 3,765.00 | 240.00 |
| 86 | ჰიდრავლიკის ნასოსის (შკივის გადაპრესვა) | | 0.00 | 80.00 |
| 87 | ჰიდრავლიკის სითხე | 1 ლიტრი | 35.00 | 30.00 |
| 88 | კონდენციონერის რადიატორი | 1 ცალი | 1,680.00 | 120.00 |
| 89 | წყლის რადიატორი | 1 ცალი | 1,270.00 | 130.00 |
| 90 | ტურბინის რადიატორი | 1 ცალი | 1,490.00 | 120.00 |
| 91 | სალონის ფეჩის რადიატორი | 1 ცალი | 780.00 | 450.00 |
| 92 | ტორბედოს მოხსნა-დაყენება | | 0.00 | 400.00 |
| 93 | წამყვანი ღერძის კომპლექტი (პოლიუსი) | 1 კომპ. | 1,890.00 | 80.00 |
| 94 | წამყვანი ღერძის მტვერდამცავი  გარე (პოლიუსი პილნიკი) | 1 ცალი | 115.00 | 80.00 |
| 95 | წამყვანი ღერძის მტვერდამცავი შიდა (პოლიუსის პოლნიკი) | 1 ცალი | 95.00 | 120.00 |
| 96 | წამყვანი ღერძის საკისარი | 1 ცალი | 250.00 | 120.00 |
| 97 | წინა (ხიდის მოხსნა-დაყენება) | | 0.00 | 250.00 |
| 98 | წინა (ხიდის ) ჩობალი № 1 | 1 ცალი | 140.00 | 40.00 |
| 99 | წინა (ხიდის ) ჩობალი № 2 | 1 ცალი | 140.00 | 30.00 |
| 100 | უკანა (ხიდის) ჩობალი | 1 ცალი | 140.00 | 30.00 |
| 101 | უკანა (ხიდის) საკისარი | 1 ცალი | 140.00 | 40.00 |
| 102 | გადაბმულობა   (კარდანი) | 1 კომპ. | 1,980.00 | 80.00 |
| 103 | უკანა (ხიდის) მოხსნა-დაყენება | | 0.00 | 350.00 |
| 104 | სიჩქარის კულისა | 1 ცალი | 1,360.00 | 250.00 |
| 105 | კონდენციონერის კომპრესორის მოხსნა-დაყენება | | 0.00 | 240.00 |
| 106 | კონდენციონერის კომპერსორი | 1 ცალი | 3,580.00 | 240.00 |
| 107 | კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი | | 0.00 | 250.00 |
| 108 | კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშუალო | | 0.00 | 450.00 |
| 109 | კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული | | 0.00 | 750.00 |
| 110 | საწვავის მრფქვევანა | 1 ცალი | 1,180.00 | 60.00 |
| 111 | საწვავის მრფქვევანას ინსტალაცია | 1 ცალი | 0.00 | 50.00 |
| 112 | საწვავის ტუმბო | 1 ცალი | 1,590.00 | 120.00 |
| 113 | საწვავის ავზის და სისტემის გამორეცხვა | | 0.00 | 350.00 |
| 114 | უკანა სამუხრუჭე ავზი (ბაჩოკი) | 1 ცალი | 290.00 | 80.00 |
| 115 | სამუხრუჭე ხუნდების სამაგრი | 1 ცალი | 180.00 | 10.00 |
| 116 | ხელის მუხრუჭის (ტროსი) | 1 ცალი | 160.00 | 80.00 |
| 117 | მშრალი ამორტიზატორი (სუხოი) | 1 ცალი | 760.00 | 120.00 |
| 118 | ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტოსიაძე | 1 კმ | 20.00 | 3.60 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 119 | ევაკუატორის მომსახურება რეგიონებში | 1 კმ | 20.00 | 2.60 |
| 120 | მინების დამუქება მარტივი | | 0.00 | 250.00 |
| 121 | მინების დამუქება საშუალო | | 0.00 | 350.00 |
| 122 | მინების დამუქება რთული | | 0.00 | 450.00 |
| 123 | ქარ ამრიდი (გვერდითა შუშების წვიმისგან დამცავი) | 1 კომპ. | 580.00 | 60.00 |
| 124 | რეზინის ფეხსაგები | 1 კომპ. | 150.00 | 0.00 |
| ***ჯამი*** | | | ***39738*** | **13388.20** |
| ***მთლიანი ჯამი*** | | | | **53126.20** |

**„შემსყიდველი“**
**სსიპ „შემოსავლების სამსახური”**

______________________________

**მიხეილ ახვლედიანი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

**„მიმწოდებელი“**
**სს „ფრანს ავტო“**

____________________________________

**გიორგი ფალიანი**
დირექტორი